სახალხო გაზეთი

№ 1170 ხუთშაბათი 24 აპრილი 1914 წ. № 1170

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე"

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოცვლა 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.

ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ. газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

ამ წლის 20 აპრილს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე

აკაკი რაჟდენის ძე კაჭკაჭაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ფეფიკო ცქიტიშვილის ასული კაჭკაჭაშვილისა და რაჟდენ სპირიდონის ძე კაჭკაჭაშვილი, გიორგი და ანნა კაჭკაჭაშვილები. გამოსვენება მოხდება ამა წლის 24 აპრილს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათზე, მესხეთის ქ., მთავარ-ანგელოზის შესახვევში, დაკრძალვა ოლასკურაზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე.

ელენე გიგო ავალიშვილის ასული მაჩაბლისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ შაბათს, 26 აპრილს, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისი მეუღლის

აპოლონ მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად, დაბა ცხინვალის ღვთის-მშობლის ეკლესიაში, შუადღის 12 საათზე. 1176

მეუღლე მისი [illegible] და შვილები მისი: ზაქარია, აკაკი, ქსენია ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის—მეუღლისა და მეორეთა—დედის

ელისაბედის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, ნეკრასოვის ქ., № 6, დილის 9-ნახევარ საათზე, ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 278

ქვრივი ეკატერინე ივანეს ასული, ასულნი მისნი ბარბარე, ელენე და ვაჟები საშა და გოგა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 აპრილს გარდაიცვალა პირველისა საყვარელი მეუღლე და დანარჩენთ ძვირფასი მამა

აზნაური ვასილ მიხეილის ძე კობიაშვილი

გამოსვენება და დასაფლავება 26 აპრილს სოფ. ავჭალაში. 281.

ტელეფ. **ქართული თეატრი** № 795.

ხუთშაბათს, 24 აპრილს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

იუდითი

ტრაგ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, თარგმ. ი. მაჩავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: პიერეტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩხეიძე; ბ-ნნი: არადელი, იმხნელი, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, მესხი, სარაული, ციციშვილი, ხონელი, ფრანგიშვილი.

დასაწყ. საღ. რვა-ნახევარ საათ ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1138 რეჟისორი მ. ქორელი. ადმ. ქარ. დრ. საზ.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის ქალ. სახალხო სახლი
კვირას, 27 აპრ., სახალხო უნივერსიტეტთან არსებული
ქართველ ქალთა მოყვარე-მგალობელთა გუნდი
ბ-ნ ი. გოძიაშვილის ლოტბარობით გამართავს

კონცერტს

4 განყოფილებად:
გუნდის ლოტბარის გასამრჯელოდ.

1) ეგ. როსტომაშვილი წაიკითხავს ლექციას: „[illegible] და მისი ფსიქოლოგია ადამიანთა ცხოვრებაში".

2, 3 და 4 განყოფ. გუნდი (30 ქალისაგან შემდგარი), იმღერებს ქართულ ხალხურ სიმღერებს გადაღებულს სხვა და სხვა ცნობილ მომღერალთა მიერ, სხვათა შორის, გუნდი იმღერებს გოძიაშვილის მიერ გადაღებულს: „დიამბეგო", მაყრული, გარე-კახური, ლაჟღარ ჩემო ჩონგურო, მუშებო თქვენი მარჯვენა და სხვა. ანნა რაზმაძე იმღერებს ურმულს. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით რაზმაძე, ნასყიდაშვილი და გოცირიძე შეასრულებენ (ტრიოს) „მშვენიერო"-ს, დასასრულ ლეკურს ითამაშებს ილ. გოძიაშვილი. დაწვრილებით პროგრამებში. ფასები სახალხოა.

დასაწყ. შუადღ. 1 ს. ◆ გამგენი გ. ჯაშიაშვილი, ილ. გოძიაშვილი. 279

ახლად გაიხსნა სასტუმრო სასადილო „სინათლე"

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

☛ ყოფილი „სიცილია" და „არარატი" ☚

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოხები".

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.
მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914" და „606". 1023

გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუხნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
ზინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ს. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერზლიაკ-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ჭლექ.	**ჯაჯანიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ზონდოვიჩი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურ. და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1070

დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

ხუთშაბათს, 24 აპრილს, დანიშნულია

დიდი კინო-გიმნასტიური წარმოდგენა,

ცირკის გამოჩენილთა მონაწილეობით ე. ი. მხიარულ გუნების შემქნელ ბუფფ-რიჟა ბ-ნ ვილსონის, ჰაერში მოსრიალე პაწაწა გიმნასტიორ დების კუროვეროვების მონაწილეობით, რომელთაც „მერცხალ ბავშვებს" უწოდებენ, უშიშარ ეკვილიბრისტ ქ-ნ ლიდიისა, გამოჩენილ საპარტერო ჯამბაზების „[illegible] ხალხის" ბ-ნთ როსინების ოჯახობის მონაწ., ყველგან საყვარელ, ყოველ-დღიურ პროგრამის კლასიკურ მუსიკალურ ექსცენტრიკოსების ბ-ნთ როზეტების და მრავალი სხვ.

ანონსი: კვირას, 27 აპრილს, გამართება ორი სადღესასწაულო წარმოდგენა, დღისით საგანგებოდ ბავშვებსა და მოსწავლეებთათვის განსაკუთრებულის შერჩეულის პროგრამით. დღისით წარმოდგენა ნაშუადღევს 2 საათზე დაიწყება.

ცირკის დირექტორი ფ. ა. იუპატოვი. გამგე ლ. მ. ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 272

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი ისყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კიკნაძის საავაჯროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

სანატორიუმი „რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

გულსუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაჭანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს ს. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23.** 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—92. 1087

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მიმავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სტელომინ [illegible] თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიძინონ დარჩენილი [illegible], თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
ელ ხიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელ ხიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.
კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაზაქიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელიანკო. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოჟეცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
გრუზოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასპიზოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავადმ. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თოთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კოლომპიაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოთხუტიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm ann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნის ქუჩის ახლოს, სადურგანყოფ. პირდაპირ. 1080

გაიხსნა საქალაქო ვერის პარკი გაიხსნა

პირველ-ხარისხოვანი
რესტორანი,
ტელეფ. № 14—66.

[illegible]

ყოველ დღე
სადილობისა და ვახშმობის დროს, ნაშუადღევის 2—5 ს.-დე და ღამის 10—2 ს.-დე უკრავს
საკონცერტო
სიმფიანი ორკესტრი, სალონის ორკესტრი, საუკეთესო სოლისტების მონაწილეობით და ცნობილ სკრიპკის დამკვრელ თავისუფ. მხატვარ
ლ. სტუპელის ხელმძღვანელობით.

სადილი:
2 თავიდან . . 60 კ.
3 თავიდან . . 90 კ.
4 თავიდან 1 მ. 20 კ.
იშოვება ყოველგვარი საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი სასმელები. 1169

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, აგზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. უფასოდ. ბებუთოვის ქ., 23. ტელეფ. № 7—92. 1516

ექიმი ს. გ. მამრაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალთა და საშოს სნეულებანი).
ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხეჩინოვი
(ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი—დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტი). გ. დ. წინამძღვრიშვილი
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ-
1050

ტფილისი, 24 აპრილი

სიტყვის თავისუფლება სათათბიროში.

რუსეთის უბრალო მკვიდრთ ერთი ოცნება ჰქონდათ. აქამდის შერჩენილი, ერთი წმინდა და ხელშეუხებელი ადგილი ჰქონდათ, რომელსაც რწმენით და იმედით შესცქეროდნენ; იქ ხედავდნენ იმ ნაპერწკალს, რომლის გარშემო უნდა გაღუებულიყო ძლიერი ცეცხლი განახლებისა და აღორძინებისათვის. ყველას ეგონა, რომ სახელმწიფო სათათბირო ისეთი დაწესებულებაა, სადაც თუმც სუსტად, მაგრამ მაინც გაისმის ხალხის ხმა, ამ ხმას არავინ დაადუმებს ძალით, ეს ხმა გაიზრდება, გაძლიერდება და გადაიქცევა მთელი ხალხის მისწრაფების, ქირისა და ლხინის, სულისკვეთების გამომსახველად.

ასეთს რწმენას და იმედს დიდი ხანია დაეკარგა ყოველი ნიადაგი. მთავრობამ არა ერთის და ორის საქციელით უჩვენა ქვეყანას და გულუბრყვილო მკვიდრთ, რომ ამაო იყო მათი ოცნება სათათბიროს ძლიერებისა და სიწმინდის შესახებ, რომ სათათბირო მთავრობისათვის არავითარს გამონაკლისს არ წარმოადგენს სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შორის, რომ დეპუტატს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვეულებრივს მოხელეს. მაგრამ დღემდის შეურყეველია უმრავლესობის რწმენა; დღესაც ფიქრობენ, რომ სათათბირო პირველი დაწესებულებაა რუსეთის სახელმწიფოში და დეპუტატი პატივცემული, გავლენიანი და ხელშეუხებელი ადამიანია, მისი თავისუფლება უზრუნველყოფილია.

მთავრობამ ამ დღეებში ერთხელ კიდევ დაამსხვრია ბრმა მცხოვრებლების ოცნება. გადასწყვიტა სამართალში მისცეს დეპუტატი ჩხეიძე სათათბიროში წარმოთქმული სიტყვისათვის, რომელშიაც სოციალდემოკრატიული ფრაქციის წევრი იცავდა რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას.

ამ გადაწყვეტილებაში არაჩვეულებრივი და გასაოცარი არა არის რა. მთავრობამ პირველად არ გაიგო, რომ დეპ. ჩხეიძე რესპუბლიკის მომხრეა, რომ იგი სოციალისტია და, მაშასადამე, ემხრობა ისეთს სოციალურს წყობილებას, რომელიც ძირიანად არღვევს დღევანდელს საზოგადოებას. და განა მარტო ნ. ჩხეიძეა რესპუბლიკელი ან სოციალისტი სათათბიროში? განა ასე დამნაშავენი არ არიან მთავრობის თვალში შრომის ჯგუფის და ს.-დემოკრატიის ორივე ფრაქციის ყველა წევრები? განა კანონის გარეშე არაა დაყენებული შედარებით ისეთი ზომიერი პარტია, როგორიცაა კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტია?

თუ დეპ. ჩხეიძეს ჩაავლო დღეს მთავრობამ ხელი, ეს მარტო უბრალო საბაბია, რომლისთანა არა ერთი შეუძლიან გამონახოს სათათბიროს ცხოვრებაში. მთავრობას პოლიტიკა არ გამოუცვლია, ახალი არა მოუქმედნია რა. იგი ძველის გზით მიდის, რომელიც მიმართულია ყოველგვარი თავისუფლების და საკონსტიტუციო წესების აღმოფხვრისა და განადგურებისაკენ. მთავრობას სწადიან „ძველი რეჟიმის“ აღდგენა და ამ მიზნისკენ მიისწრაფვის ნელა, მაგრამ მტკიცედ და ცხნედ. ამის მისაღწევად არაფერს არ მოერიდება, არაფრის წინაშე არ შეჩერდება. მას გათვალისწინებული აქვს ყოველი შედეგი და მოქმედებს სრულიად მიზანშეფარდებულად და წინდახედულად.

დეპუტატი ჩხეიძის სამართალში მიცემას შეიძლება ორნაირი შედეგი მოჰყვეს: შეიძლება სახელმწიფო სათათბიროს წევრთა უმრავლესობამ დაადასტუროს ნ. ჩხეიძის სათათბიროდან გამორიცხვა, შეიძლება უარჰყოს. პირველ შემთხვევას მთავრობა სიხარულით მიეგება, ეს იქნება სათათბიროს მშვიდობიანი დამორჩილება, ეს იქნება ახალი ნაბიჯი სათათბიროს მთავრობის ყურმოჭრილი იარაღად გადასაქცევად და მთავრობას მეტი არც არა უნდა რა: თუ სათათბირო მთავრობის ყოველს მოთხოვნილებას აასრულებს, ყოველ წინადადებას მიიღებს, თუ სათათბირო მხოლოდ მრჩეველი იქნება და არა კანონმდებელი, მაშინ მთავრობა სრულიად დაწყნარდება, შეურიგდება სათათბიროს, რადგან მათ შორის სადავოდ საჩხუბარი არა იქნება რა.

ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ სათათბიროს უმრავლესობა „მარცხად“ არ მოიწონებს დეპ. ჩხეიძის დასჯას, მთავრობა მოურიდებლად დაითხოვს მეოთხე სათათბიროს, თუ საჭირო იქნა, შესცვლის საარჩევნო კანონსაც, მოიწვევს ახალ სათათბიროს, მეხუთეს, მეექვსეს—ისეთს, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულებს ყველაფერს, რასაც უბრძანებს მთავრობა. ეს აუცილებელი დასკვნაა დღევანდელი მდგომარეობისა. მთავრობის, დღევანდელს მთავრობას არც შეუძლიან სხვანაირად მოიქცეს. სათათბირო ყოვლად უძლურია, მთელი ძალა მარტო მთავრობის ხელშია და ამ ძალას იგი ხმარობს თავის სასარგებლოდ.

სულ სხვა საკითხია, თუ რა მოჰყვება ყველაფერს ამას... მაგრამ ამ ჟამად ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ვისურვოთ, რომ რაც საქმნელია, იქმნას მალე, რაც სათქმელია, ითქვას სავსებით, რაც გასაკეთებელია, გაკეთდეს ბოლომდის, რომ ზედ აღმოცენდეს სხვა ცხოვრება. ორჭოფობა, გაურკვევლობა ყველაზე მეტად ჰბორკავს განვითარებას.

ქართული პრესა

გაზეთი „ჩვენი ერი“ განაგრძობს დასელებთან კამათს.

„დასელები გვეუბნებიან: ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია ქართველ ბურჟუაზია-ფედერალისტებისთვის არის გამოგონილი. საშინელი ზღაპარია. ეგ ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია ქართველ ბურჟუებს არ შეუმუშავებია. ევროპის დემოკრატია სარგებლობს ამ წესწყობილებით და ჩვენც მათგან ვსესხულობთ მას. გარდა ამისა ვთქვათ, რომ იგი ავტონომია ბურჟუაზიის საბუდარი იქნება, მაგრამ რუსეთის „დემოკრატიული“ წესწყობილება განა სოციალისტური იქნება? ტფილისში რომ ეროვნული სამი ივნისისებური მეოთხე სათათბირო იყოს, განა მაშინ მეტ გავლენას არ მოვახდენდით მის მუშაობაზე, ვიდრე დღეს ვახდენთ? დღეს სწყდება სახელმ. სათათბიროში ხიზანთა საკითხი. რუსთა ზუბრები სწყვეტენ იმ საკითხს, ქართველთა ზუბრები კი იქ დელეგატებით თავიანთ საქმეს აკეთებენ, ქართველ ხიზნებს კი, აბა, როგორ შეუძლიანთ იქ დელეგატი გაგზავნონ და კი ვერც გაგზავნეს. ხიზნების მომხრე პრესა კი სრულიად უმნიშვნელოა პურიშკევიჩ-მარკოვებისთვის. ცხადია, ტფილისში, რომ გადაწყვეტილ-გარჩეულიყო იგი საკითხი, ქართული პრესის და მუშა-გლეხების ბრძოლა დიდ გავლენას მოახდენდა რეაქციონურ სათათბიროზე და მით რამდენადმე საკითხი უმჯობესად გადაიჭრებოდა. ასე იქნებოდა და იქნება ყოველ საკითხში და ამიტომ ქართველი პროლეტარიატისთვის აუცილებლად საჭიროა, სასარგებლოა, კლასობრივი ბრძოლა ეროვნული ხასიათით გამსჭვალოს; პროლეტარიატმა თავისი ბედი თავის ქვეყანაში უნდა გადასჭრას, ქართველმა მუშამ მხოლოდ თავისი მკლავის და თავის იმედი უნდა იქონიოს. დაცვა თავისი თავის, პატივისცემა სხვისი და საზოგადოდ აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ფედერატიული პრინციპის წამოყენება—აი, ნაციონალური და ინტერნაციონალური სულისკვეთება, სადაც არავითარი ადგილი არ აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს, საზიზღარ შოვინიზმს. საქართველოს ცხოვრების განვითარება თანდათან ამტკიცებს ჩვენს შეხედულებათა სიმტკიცეს, სიმართლეს და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც შეგნებული ქართველი პროლეტარიატი მხნედ და მტკიცე ნებით გააფართოვებს ეროვნულ-კლასობრივი ხასიათის მისწრაფებას“.

⁂

გაზეთი „შრომა“ ახასიათებს „იმერეთლების“ ზრდილობიანობას, რომელსაც ყოველდღე ეფიცებიან ქვეყანას.

წაიკითხეთ ის ფელეტონი, რომელშიაც მარჯანიძემ და მისმა ჯგუფმა გადასწყვიტა მოწინააღმდეგეებთან ზრდილობიანად მოპყრობა და იქ დაინახავთ შემდეგს სხვადასხვა ჯგუფების თუ პიროვნების ზრდილობიან დახასიათებას:

1) სანდონები არიან „ბრმა მიმდევრები რუსეთის სანდონებისა, იმ ჭეშმარიტ რუსებისა, რომელთაც უთავისთავოდ ქვეყნის არსებობა ვერც კი წარმოუდგენიათ“ ჩვენებური სანდონები კი „გუნებაში თითქმის შოვინისტები არიან“.

2) „სანფარები სულით და გულით მატარებელი არიან ყოველივე ქართველურ სიგლახისა“.

3) ამასთან თავის ჯგუფის შესახებ კი „იმერეთი“ მოაგონებს სხვა მიმართულების მიმდევართ, რომ „როცა ისინი (სხვა ჯურის ხალხი) ჭკუის სასწავლებლად მიდიოდნენ, ჩვენ იქიდან მოვდიოდით და ცხოვრებაში ჩახედულთ აღარ გვსურს შორს ვიდგეთ ამ ცხოვრებიდან, არა გვსურს თავი მოვიტყუოთ და ან სხვა მოვატყუოთ“-ო (იხ. „იმერეთი“ № 20 მარჯანიძის ფელეტონი) ალბად ამას ეძახის „იმერეთი“ თავის თავის და მკითხველებისადმი პატივის ცემას...

დასასრულ, უნდა ვსთქვათ, რომ გაუგებარი მიზეზის გამო „იმერეთლებს“ სწყინთ, რომ მათი სიტყვები მოგვყავს. გვიკვირს! თუ თქვენი სიტყვების თქვენვე გრცხვენიანთ, რათა სწერთ?!

აურ-ზაური სახელმწიფო სათათბიროში

22 აპრილის კრება.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

თავმჯდომარის ტრიბუნაზედ როძიანკო და ორი მისი ამხანაგია. მინისტრთა ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრები. განსახილველია საბიუჯეტო კომისიის მოხსენება. თავმჯდომარემ აცნობა, რომ 30 წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება შემოვიდა, ბიუჯეტის განხილვა გადავდოთო, სანამ დეპუტატთა სიტყვის თავისუფლება კანონის ძალას არ მიიღებს. ხელს აწერენ პირველად—ჩხეიძე, კერენსკი, მალინოვსკი.

ჩხეიძე. დეპუტატები წარმოთქმულ სიტყვების გამო ხშირად დისციპლინარულად ისჯებოდნენ, მაგრამ ეს მაინც თავრიდის სასახლეს არა სცილდებოდა. ამ უკანასკნელ დროს გვაცნობეს, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან ბევრს იმ გვარ საგნებზედ აღარ შეიძლება ლაპარაკი, რომელზედაც თვით შავბნელ რეაქციის დროსაც კი ვლაპარაკობდით; ეხლა არ შეიძლება ლაპარაკი რესპუბლიკურ რეჟიმის შესახებ.

თავმჯდომარე სთხოვს ჩხეიძეს, ეს სიტყვები აღარ გაიმეოროს.

ჩხეიძე (განაგრძობს). თავმჯდომარე მაფრთხილებს, სიტყვას წამართმევო. გუშინ შევიტყვეთ, რომ ლაპარაკი არ შეიძლება საზოგადოდ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაზე, როგორც უნდა იყოს იგიო.

დანარჩენ ლაპარაკის დროს ისმის მარჯვნივ ხმაურობა და ყვირილი „გაეთრიეთ!“ და მარცხნიდან ტაშის ცემა. თავმჯდომარემ ჩხეიძეს სიტყვა წაართვა.

მალინოვსკი. განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოპოვებულ სიტყვის თავისუფლების ნასახი დღევანდლამდე მხოლოდ სათათბიროს ტრიბუნას ღა შერჩენოდა, ეხლა ამ ნასახს მასაც ჰგლეჯენ ხელიდან. მუშათა დეპუტატებს არ აშინებს მთავრობის რეპრესიები, სამაგიეროდ შეუძლებლად მიაჩნიათ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება დეპუტატის სიტყვის სრული თავისუფლება. მემარცხენე დეპუტატები სიტყვის თავისუფლებას თავისი თავისათვის კი არ ესარჩლებიან, არამედ სათათბიროს უმრავლესობისათვის (მარჯვნივ და ცენტრში ხმები: „არა ვსაჭიროებთ!“ მარცხნით ტაში).

იმერეთის მეფე სოლომონ II

და

საქართველოს მთავ.-მართებელი თ-დ პ. დ. ციციშვილი.

იმერეთის მეფეებთა და სამეგრელოს მთავართა შორის ძველი დროიდან უთანხმოება სუფევდა. მიზეზი ამ უთანხმოებისა ის იყო, რომ, როგორც ვიცით, სამეგრელო წინად იმერეთის სამფლობელოს საკუთრებას შეადგენდა, მხოლოდ ბოლოს ჩამოშორდა და ცალკე სამთავროდ გახდა. იმერეთის მეფეები კი იმას ვერ შერიგებოდნენ და დღითი-დღე ცდილობდნენ სამეგრელო ისევ უკან დაებრუნებინათ როგორმე.

1790 წელს, ახალგაზრდა ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (შვილი სოლომონ პირველის უმცროსი ძმის არჩილისა), მეფე ირაკლი მეორის შემწეობით ავიდა იმერეთის ტახტზე და გამეფდა სოლომონ მეორის წოდებით.

თუმცა სოლომონ მეორე ნათესავი იყო სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანისა, *) მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძო ომი დადიანთან.

გრიგოლ დადიანი ორჯელ იქმნა განდევნილი სამეგრელოდან, რის გამოც მან გადასწყვიტა რუსის მფარველობა მიეღო.

ამ ამბავმა საქართველოს მთავარმართებელი თ-დი ციციშვილი მეტად გაახარა. თუ სამეგრელო რუსეთს შეუერთდებოდა, მაშინ რუსეთი გაბატონდებოდა შავი-ზღვის ნაპირზე და აგრეთვე იმერეთი, სამეგრელოს სამთავროსა და ქართლს შუა მომწყვდეული უფრო ადვილი დასამორჩილებელი გახდებოდა.

სოლომონ მეორეს სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ერთის მხრით სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, რომელსაც ფიქრად ჰქონდა ხელთ ეგდო სამეგრელოს ზოგიერთი ადგილები, თუ უკანასკნელი ძლეული იქნებოდა და მეორეს მხრით ქართლ-კახეთის ქვრივი დედოფალი დარია და მისი შვილები—ბატონიშვილნი იულონი, ალექსანდრე და ფარნაოზი. დარია დედოფალს ჯავრი ჰქონდა დადიანისა, მისთვის, რომ გრიგოლ დადიანს, როგორც ზევითა ვსთქვით, ცოლად ჰყავნდა მეფე გიორგი მე-XII-ის ქალი ნინო, გიორგი მე-XII-ს კი დარია დედოფალი აბრალებდა ქართლ-კახეთის ტახტის წართმევას.

როდესაც გრიგოლ დადიანმა თავისი სურვილი თავ. ციციშვილს აცნობა, უკანასკნელმა შემდეგი პირობები გაუგზავნა მას: უნდა მიეღო თავის სამთავროში რუსის ჯარი 1,500 კაცი, ერთი გენერლის უფროსობით. ეძლია ჯარისათვის საჭირო სურსათი გარდაწყვეტილ სასყიდლით. დადიანს ნება ეძლეოდა განეგო თავისი სამთავრო ძველებურად, მხოლოდ უნდა მოესპო ქვეშევრდომთა სიკვდილით დასჯა, „რაიც არ ეთანხმება რუსის მართვა-გამგეობასო“.

გრიგოლ დადიანმა სიხარულით მიიღო ეს პირობები და სთხოვდა ციციშვილს საჩქაროდ გაეგზავნა რუსის ჯარი, ვინაიდან სოლომონ მეფისაგან ძლიერ შევიწროებული იყო. საქმე არც ისე ჩქარა მოეწყო, როგორც დადიანს ეგონა და უნდოდა, მისთვის, რომ სოლომონმა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, დიდი წინააღმდეგი გახდა სამეგრელოს რუსეთთან შეერთებისა. სოლომონ მე-2-მ კარგად იცოდა, თუ რა საფრთხე მოელოდა მის სამეფოს ამ კავშირისაგან, ამისთვის ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე ხელი შეეშალა გრიგოლ დადიანისთვის. უბრძანა იმერეთს არ გაეშვათ არც ერთი ციციშვილის და დადიანის კაცები. ერთხელ ციციშვილისაგან დადიანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი კაცები სოლომონმა დაიჭირა და სიცოცხლეს გამოასალმა, წერილები, რომელიც მას დადიანთან მიჰქონდა ხელთ იგდო.

მიუხედავად ასეთი გასაჭირისა, ციციშვილმა 1803 წელს, ნოემბერში, მაინც მოახერხა და გაგზავნა სამეგრელოში პოლკოვნიკი მაინოვი. მას დავალებული ჰქონდა დადიანისათვის ერთგულების ფიცი მიეღებინებინა და პირობაზედაც ხელი მოეწერინებინა. დიდი გაჭირვებისა და ვაივაგლახის შემდეგ პოლკოვნიკმა მაინოვმა გადაიარა ახალციხე, ბათომი, ფოთი და ნოემბრის 30-ს სამეგრელოში მივიდა სოფ. დიდ-ჭალს, სადაც იმ დროს იმყოფებოდა თავადი დადიანი.

ორ დეკემბერს თავ. დადიანმა პირობის ქაღალდზე ხელი მოაწერა და ოთხ დეკემბერს კი მრავალ თავადების თანდასწრებით ფიცი მიიღო რუსეთის მთავრობის ერთგულ ქვეშევრდომობისა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 4 ივლის 1804 წელს რესკრიპტით დაამტკიცა სამეგრელოს სამთავროს შეერთება და მისი მთავრის ხელ-შეკრულობა.

თავ. ციციშვილმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება იმერეთს და შერჩეულ დროს ეძებდა მის დასამორჩილებლად. პირველი ნაბიჯი იმერეთისაკენ მაშინ გადასდგა ციციშვილმა, როდესაც სოლომონ II-ს მოთხოვა მუხურის ციხიდან კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება და იმერეთის საზღვრებიდან ბატონიშვილების ალექსანდრეს, იულონისა და ფარნაოზის განდევნა და გაცემა.

სოლომონს თავდაპირველად არც ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა და დასთანხმდა კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლებაზე, ბატონიშვილების გაცემაზე კი ცივი უარი სთქვა. სოლომონს ეშინოდა კონსტანტინე ბატონიშვილი რუსის მთავრობას იმერეთში ტახტზე არ აეყვანა, ამისათვის მოითხოვა მისი პეტერბურგში გაგზავნა და თანაც რუსეთთან შეერთების სურვილიც განუცხადა თავ. ციციშვილს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ უმაღლესად უნდა დაემტკიცებინათ ისა და მისი მემკვიდრეები იმერეთის მეფეებად. თუ ვინიცობაა უშვილოდ დარჩებოდა, მაშინ მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი უნდა გამხდარიყო.

სოლომონმა რუსეთს გაგზავნა თავ. სოლომონ ლეონიძე, რომელსაც რუსეთის მთავრობასთან უნდა მოლაპარაკება გაემართა იმერეთის შეერთების შესახებ. მხოლოდ თუ საქმე მორიგდებოდა, სოლომონის თხოვნით იმერეთი უნდა ადრე შეერთებოდა, მინემ სამეგრელოს სამთავროს შეერთების რესკრიპტი იქმნებოდა გამოცხადებული და სამეგრელოს საქმეები გათავდებოდა. ამით სოლომონს სულ სხვა ფიქრები ჰქონდა. მართალია, ის გარეგნულად რუსეთის მორჩილებას აცხადებდა, მაგრამ ჩუმად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე ციციშვილისა და გრიგოლ დადიანის მიწერ-მოწერისათვის ხელი შეეშალა, თანაც დადიანთან ომს არ სწყვეტდა.

ციციშვილს კარგად ესმოდა თუ რას ჩადიოდა სოლომონ მეფე, ამისათვის აფრთხილებდა მას, რომ ის თავისი ძალმომრეობითი მოქმედობით დადიანის წინაშე, რუსეთის იმპერატორის მრისხანებას დაიმსახურებსო.

სოლომონ მეფე ისეთი ამხედრებული იყო დადიანის წინააღმდეგ, რომ ციციშვილის მუქარას ყურადღებას არ აქცევდა. პეტერბურგშიც გაიგეს სოლომონის ორგულობა, კარგად იცოდნენ მისი თხოვნა რუსეთთან შეერთებისა ცარიელი სიტყვები იყო. იმ გარემოებამ, რომ სოლომონმა დააჭერინა და მოაკვლევინა ციციშვილისაგან დადიანთან გაგზავნილი კაცი და აგრეთვე გზები შეკრა იმერეთსა და სამეგრელოს შორის, გამოიწვია 1803 წელს 26 ოქტომბრის ბრძანება, რომლის ძალით სოლომონი უნდა დაესაჯათ. იმპერატორი ალექსანდრე უთვლიდა თავ. ციციშვილს, რომ სოლომონ ლეონიძესთან ყოველივე მოლაპარაკება შეწყვეტილია და სოლომონ მეფის წინააღმდეგ უფრო პირდაპირ იმოქმედეო.

ამ ბრძანების მიღების დროს თავ. ციციშვილი მზად იყო განჯისაკენ გასალაშქრებლად, თან ორ პოლკს მოელოდა კავკასიის ლიანდაგიდან. ამისათვის 17 ნოემბერს 1803 წელს, მან პასუხი მისწერა გრაფ. ა. რ. ვორონცოვს, უთვლიდა მას, რომ სოლომონ მეფის დასჯა გადავდე, ვიდრე ორი პოლკი კავკასიის ლიანდაგიდან არ მომივაო, ამასთანვე დროც არ მაქვს რადგანაც განჯისკენ მიველაშქრები ეხლაო. ღვთის იმედით განჯის საქმეს ერთ თვეში მოვრჩები და იმერეთის დაპყრობას ამ დროზე ადრე ვერ შევძლებო.

გრაფ-ვორონცოვს ეგონა თუ ციციშვილს ხელს უშლიდნენ პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილობითი ბრძანებები და ამისათვის 23 დეკემბერს 1803 წელს შემდეგი მისწერა მას: „იმერეთის მთავრის სოლომონის ორგულობის გასწორება კეთილი საშუალებით, ჩემის ფიქრით, ძნელია. ამისათვის ეგ კარგად აზიურად შეაშინეთ და მაშინ კი გახდება ალერსიანი, რისი იმედიც ჩვენ გვაქვს თქვენ მიერ, მის ელჩს ჩვენ თქვენ გამოგიგზავნით და გამოუცხადებთ მას, რომ თქვენ გაქვთ მონიჭებული სრული უფლება მის მეფესთან საქმის გათავებისა. მე ვფიქრობ, რომ მის ელჩთან მოლაპარაკება აქ არა ღირს... თანაც შესაძლებელია, რომ ჩვენ აქ ჩავიდინოთ ისეთი რამ, რაც არ ეთანხმება თქვენს გადაწყვეტილებას... აქ მისი ელჩები უნდა მივიღოთ სხვადასხვა პატივითა და წყალობით, თქვენ კი მათ იმავ დროს სჯით უშვერ საქმეებისათვის. ასე რომ წყალობა და სასჯელი ეხლა გამოვა ერთი ხელიდან ე. ი. თქვენგან. მე ძლიერ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მას შეასრულებთ მაგ მხარის სასარგებლოდ და უზრუნველსაყოფად“.

1804 წლის დასაწყისს თავ. ციციშვილმა განჯის ხანი დაამარცხა და ქალაქი დაიპყრო; ამის შემდეგ მთელი თავისი ყურადღება იმერეთს მიაპყრო. შვიდ თებერვალს თავ. ციციშვილმა ჯარი დასძრა იმერეთისაკენ და თანაც წერილი გაუგზავნა იმერეთის მთავარ სარდალს თ-ვ. ქაიხოსრო წერეთელს, რომელსაც

---

*) სოლომონს ჰყავნდა ცოლად და გრიგოლ დადიანის, კაცია დადიანის ქალი. გრიგოლ დადიანს ჰყავნდა ცოლად ქართლ-კახეთის მეფის გიორგი მე-12-ეს ქალი—ნინო. გიორგი მე-12 ბიძად ერგებოდა სოლომონ მეორეს.

გელოვანი. დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აცხადებენ. საბრძოლველად უკვე გამოგვითხოვეს, ოპოზ. ციაც ეგებება მას. ჩვენც ვიბრძოლებთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს (მარცხნივ ტაში).

140 ხმის უმეტესობით 75 წინააღმდეგ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე უარი თქმა უარყოფილია. სოც.-დემოკრატები და შრომის ჯგუფი დარბაზიდან გადიან.

მომხსენებელი საბიუჯეტო კომისიის **რჟევსკი** ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებას კითხულობს. ფინანსთა მინისტრის ვარაუდით შემოსავალი განსაზღვრულია 3,521,697,282 მ., 1913 წ. შედარებით 281 მილიონით მეტი. სახაზინო არყის ვაჭრობიდან ნავარაუდევია 98 მილიონ მანათით მეტი შემოსავალი, რკინის გზებიდან —71 მილ. მან. არა პირდაპირ გადასახადებიდან—38 მილ. მან. არაჩვეულებრივი ხარჯი კომისიას ნავარაუდევი აქვს 253,209,000 მან. ბალანსი უდრის 3,612,559,183 მან. შემოსავალი ხარჯს აღემატება 32 მილ. მანათით.

ტრიბუნაზე ადის მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე** განმარტების მისაცემად.

უკიდურეს მემარცხენეთა მხარეს ასტყდება საშინელი ხმაურობა, რახუნი და ყვირილი: „კმარა, არ გალაპარაკეთ!“

თავმჯდომარე სთხოვს ხმაურობა შესწყვიტონ და აცხადებს: სათათბიროს ზოგიერთი წევრი, მთავრობის წარმომადგენელს სიტყვის თქმას არ აცლის და ამითი მეტად სერიოზულ დანაშაულს სჩადიან (ცენტრის მეუხარე ტაში და ხმები: მართალია!“ „ვაშა“) ეს—განაგრძობს როძიანკო—მთავრობის მეთაურს ეხება, რომელსაც ვალად აწევს თავისი აზრი გამოსთქვას ხელშეუშლელად. ასეთი საქციელი ამასთანავე სათათბიროს ღირსებასაც ამცირებს (ცენტრსა და მარჯვნივ ტაში, მარცხნივ ხმაურობა).

თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე ბოდიშს იხდის და სთხოვს დროებით ტრიბუნა დასტოვოს, სანამ სათანადო წესიერება დამყარდებოდეს. იგი სათათბიროს წინადადებას აძლევს ხმაურობის ამტეხი დეპუტატები 15 სხდომიდან გააძეონ.

პირადი საქმის გამო განმარტების მისაცემად თავმჯდომარე სიტყვას აძლევს **სკობელევს**. იგი აცხადებს, საპარლამენტო ბრძოლის ის გახსკუთრებული ზომები, რომლებსაც სოციალ-დემოკრატები მიმართავენ, გამოწვეულია მდგომარეობის ულმობელი ლოღიკით. შვიდი წელიწადია ბექედს ასვამთ ბიუჯეტს, შვიდი წელიწადია ლაქიებსავით ემსახურებით მთავრობას (ყვირილი მარჯვნით, ხმები „გააგდეთ!“ ტაში მარცხნით). შემდეგ წარმოთქმულ წინადადებისთვის თავმჯდომარე სიტყვას ართმევს სკობელევს. კენჭის ყრით მას ითხოვენ 15 სხდომიდან. დათხოვნისთვის ხმა მისცეს მემარჯვენეებმა, ცენტრმა, პროგრესისტებმა და კოლომ. კადეტებმა თავი შეიმაგრეს. დათხოვნის წინააღმდეგი იყვნენ მემარცხენენი.

ამის შემდეგ თხუთმეტი კრებიდან ითხოვენ სუხანოვს, საუსტოვს, ტულიაკოვს, მურანოვს, მალიანოვსკის და ჩხენკელს. ჩხენკელს თავმჯდომარე სიტყვას წაართმევს. იგი აცხადებს, სხდომის დარბაზიდან არ გავალო. თავმჯდომარე ეუბნება ბოქაულს, წინადადება მიეცით ჩხენკელს გავიდესო. ბოქაული მიდის ჩხენკელთან, მაგრამ მას არა ჰსურს სათათბიროს დადგენილებას დაემორჩილოს. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ჩხენკელს, გავიდეს დარბაზიდან.

ჩხენკელი თავის ადგილიდან. ძალით გამიყვანეთ.

თავმჯდომარე აცხადებს: სათათბიროს ღირსების დასაცავად მე დროებით ვწყვეტ სხდომას, რომ ვსთხოვო ჩხენკელს გავიდეს დარბაზიდან (ტაში ცენტრსა და მარჯვნით).

სხდომის განახლების შემდეგაც ჩხენკელი სათათბიროს დადგენილებას არ ემორჩილება. თავმჯდომარე სთხოვს ბოქაულს, კანონით გადაწყვეტილი ზომები მიიღოს ჩხენკელის წინააღმდეგ. სხდომა ისევა სწყდება. ტავრიდის სასახლის მცველი ათი დარაჯით შედის დარბაზში და მიდის იმ ადგილას, სადაც ჩხენკელი ზის. მაშინ ეს უკანასკნელი დგება, ამბობს „მე უხეშ ძალას ვემორჩილებიო“ და გადის.

ამის შემდეგ თხუთმეტი სხდომიდან დაითხოვეს გელოვანი. კერენსკი, პეტროვსკი. კერენსკი და პეტროვსკი მხოლოდ მაშინ გავლენ, როდესაც კვლავ დარაჯებს შეიყვანენ დარბაზში. თავმჯდომარემ განაცხადა, ყველა, ვინც ხმაურობდა, დავითხოვეთ, გთხოვთ ეხლა მოუსმინოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესაო. ავიდა თუ არა ეს უკანასკნელი კათედრაზე, მემარცხენეთა მხარეს ისევ ყვირილი და ხმაურობა ასტყდა. როძიანკო ბოდიშს იხდის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე და წინადადებას იძლევა, დათხოვნილ იქმნან 15 სხდომიდან ძიუბინსკი, ჩხეიძე, შაგოვი, რისლევი, მანკოვი. წინადადება მიიღეს. ძიუბინსკი გადის, ოთხი დანარჩენის გასაყვანად კი დარაჯები შემოჰყავთ. ისინი აცხადებენ უხეშ ძალას ვემორჩილებითო, და გადიან. სიტყვა ეძლევა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. მემარცხენეთა მხარეს კვლავ ყვირილი და ხმაურობა ასტყდება. თავმჯდომარის წინადადებით თხუთმეტი სხდომიდან დაითხოვეს იახუშკევიჩი, იაგელლო, კეინისი, სტარლიჩანსკი, ბურიანოვი, ვერშინინი.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გვირილობა.** 22 აპრილს, ნაშუადღევს უკეთესი ამინდი დადგა, ვიდრე დილით იყო: ქარი რამდენადმე ჩადგა და აღარც ციოდა. ნაშუადღევის 4 საათიდან ხალხმა ქუჩებზე გამოსვლა დაიწყო. ერთი 2 საათის შემდეგ ტევა აღარ იყო, უმთავრეს ქუჩებზე მაინც. ქალაქს საღამოთი სადღესასწაულო ელფერი დაედო. მრავალი ადგილი საგანგებოდ მორთული და გაჩირაღდნებული იყო. ყვავილების გაყიდვაც უფრო ხალისიანად სწარმოებდა, ვიდრე შუადღემდე. ღამის 12 საათამდე ჟრიამული და ფეხის ხმა ქუჩებზე არ შეწყდარა. ღამით ყვავილების გამყიდველნი მოედნენ გასართობ ადგილებს, განსაკუთრებით კლუბებს, სადაც ფული უფრო უხვად შეაგროვეს, ვიდრე სხვა ადგილებში.

დაბეჭდილი ყულაბები ფულით ღამითვე ქალაქის გამგეობაში მიიტანეს. ღამით ყულაბებს საგანგებო ყარაულები მიუჩინეს. ყულაბების გახსნას და ფულის დათვლას გუშინ დილით შეუდგნენ. ფულის დათვლა დღეისთვის გათავდება. ჰფიქრობენ, რომ წელს ფულის შემოსავალი იმდენი არ იქნება, რამდენიც შარშან იყო.

◆ **სავაჭრო სამრეწველო ბანკი**, როგორც ცნობები მოდის, ტფილისს გარედაც კარგად წასულა ხელის მოწერა აქციებზე. ბევრგან კვიტანციებიც დაჰკლებიათ და ბანკის საორგანიზაციო კომიტეტმა საჩქაროდ გაუგზავნა დამატებითი კვიტანციები. გუშინ 23 აპრილს, დღესასწაულის გამო ტფილისში ხელისმოწერა არა ყოფილა, თუმცა ხალხი მაინც მოაწყდა სამეურნეო ბანკს. აქციებზე ხელისმოწერა დღეს დილით განახლდება.

◆ **წყლის გაყვანა.** მარტყოფისა, ახალსოფლისა, სართიჭალისა და სხვა მახლობელ სოფლების მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ ივრიდან წყალი გამოიყვანონ და კიდეც შესდგომიან წინასწარ თადარიგს.

◆ **ნავთის აღმოჩენა.** ინგლისელი ინჟინრები კვლავ დიდის ხალისით განაგრძობენ მუშაობას ილდაკანში (თიანეთის მაზრა), სადაც ნავთის ნიშნები აღმოჩნდა; ყოველ დღე ტფილისიდან ფარულად ზიდავენ ილდაკანში სხვა და სხვა მანქანას. თვით ის ადგილიც, სადაც ნავთს ეძებენ, ხალხისთვის დაფარულია და იქ რა ხდება და რა შედეგი მოსდევს ნავთის ძებნას,—არავინ იცის.

◆ **დახმარება ბიბლიოთეკას.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 15 მანეთის წიგნებით შემწეობა აღმოუჩინოს ქობულეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება, რომელიც ორჯელ ზედი-ზედ არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მოწვეულ იქნება მომავალ კვირისა.

◆ საზოგადო კლუბის დარბაზში შაბათს, 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე გაიმართება „**საბავშვო საღამო**“.

სომხეთა ცხოვრება

◆ **იუბილე.** სომხურ დრამატიულ დასის მსახიობის გევორკ ტერ-დავთიანცის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის თავის შესრულების გამო ავლაბრის საზოგადო კლუბის მამასახლისთა საბჭომ დაადგინა, გამართოს 30 აპრილს ავლაბრის კლუბში წარმოდგენა ხსენებულ მსახიობის პატივსაცემლად.

სასამართლო

◆ **ორ-ცოლიანობა.** ტფ. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ვიქტორ ჩუბინიძეს 2 წლის პატიმართა გამასწორებელი რაზმი ჰქონდა მისჯილი ორ-ცოლიანობისთვის.

◆ **შულერები**, ტფ. ოლქის სასამართლომ ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა: დალაქს ბესარიონ ფუხაშვილს ოთხის თვით, ხოლო ყასაბს გიორგი მასალიძეს ორის თვით. მათ ბრალად ედებოდათ ის, რომ ფუხაშვილის სადალაქოში (ბაზრის ქუჩაზე) დანიშნულ ქაღალდით 90 მან. მოუგეს ძველის წიგნების გამყიდავს სუმბათ გორგაზიანცსა.

◆ **უგანთლ. თავ. დადიანის საქმე.** სენატმა გააუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილება დადიანის და სხვათა შესახებ, რომელთაც ბრალდებათ დადეშქელიანის მკვლელობა და საქმე ხელმეორედ განსახილველად იმავე პალატას გადასცა.

ქუთაისი

◆ ქალაქის ინჟინერმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოსაზრება შესახებ იმისა, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება ნივთიერად ქალაქისათვის ადგილობრივი საურთიერთო ნდობის საზოგადოების მამულის შეძენა ბალახვანისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში. ინჟინრის ანგარიშით, მამულის შეძენას და ზოგი ახალი შენობის აგებას, ან ძველის გადაკეთებას დასჭირდა სულ 366,018 მან. ყოველწლიური ხარჯი ექნება ქალაქს ამ მამულის მოვლა-შესანახად 33,259 მ. 68 კაპ., შემოსავალი კი იქნება: პირველი სართულიდან—12,900 მან. წელიწადში; მეორე სართულიდან—12,500 მან. და სარდაფებიდან—2600 მან. სულ—28,000 მ.; ამგვარად, ქალაქის ინჟინრის ანგარიშით, მამულს ყოველწლიური დეფიციტი ექნება 5259 მ. 68 კ. ხსენებულ მამულს უჭირავს სულ 797,30 ოთხკ. საჟენი ადგილი.

◆ კვირას, 20 აპრილს, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის, „იმერეთი“-სა და „ჩვენი ერის“ რედაქციების მეთაურობით, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადაიხადეს დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. საზოგადოება ბლომად დაესწრო. ღვდელმა ლეკვეიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა.

იმავე დღეს 1 საათზე პანაშვიდი გადაიხადეს თავ.-აზნაურთა საკრებულოში დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად.

◆ ორშაბათს საღამოთი ტფილისიდან უნდა ჩამოსულიყო და სამშაბათს ლექცია უნდა წაეკითხა რუსეთის ცნობილ მგოსანს ბალმონტს, მაგრამ დეპეშა მოვიდა, მგოსანი ავად გამხდარა და ტფილისიდან წამოსვლა ვერ მოუხერხებიათ. ორშაბათს მგოსანის დასახვედრად საღამოს 7 საათზე ქუთაისის სადგურზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ იქედან გაცრუებულები, დაბრუნდენ შინ.

ივრის ხეობა

◆ ბოლო ხანს დამდგარმა სიცივეებმა ხეხილი დიდად გააფუჭა. მინდვრის თაგვმაც საგრძნობი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. თაგვების წინააღმდეგ მიიღეს ღონისძიებანი: დაშხამული ქერი დაუყარეს, მაგრამ თაგვები ქერს არ მიეკარნენ.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელს ახალ ამბეში ნათქვამია „მეფის მოადგილის ნიკოლსკის თავმჯდომარეობით იკრიბება საუწყებათაშორისო თათბირი ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებაო. **უნდა იყოს: მეფის მოადგილის წარმომადგენლის ნიკოლსკის** და სხვა.

გ. ბარელის წერილის ბოლოში დაბეჭდილია: „სომხის ვაჭრებმა კი ქუჩაში გაუძახეს ეს კეთილშობილური გაზრახვა და ცინიკურის გულახდილობით **განახლებულ** პირთა ადგილზე ვაჭრები, გაუნათლებელი და ხეპრე ვაჭრები, წამოასკუპეს“—**უნდა იყოს: განათლებულ პირთა** და სხვა.

დღიური

ტირიფონის ველი

ტირიფონის ველის სახელი დიდი ისტორიული სახელია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან დღეს გლეხებს უპირებენ აყრას და გაეულებას, გაბოგანოებას. არა, ტირიფონის ველი მითაა განსაკუთრებით ისტორიული, რომ იგი ტიპიური სახეა, სიმბოლო ჩვენი ისტორიულ ცხოვრებისა, იგი დამახასიათებელია ჩვენი ბედისა უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში, ჩვენის უუფლებობისა, ჩვენის ღირსების დაცემისა, ჩვენის უპატივცემლობისა ერთმანეთისადმი, ჩვენის მონურის სულიერის აგებულობისა.

ერთმა ლექტორმა ქალმა სამართლიანად სთქვა ამას წინად ტფილისში: ქართველობას გადაგვარების ნიშნები მარტო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი არ დაჩნევია, გადაგვარება შორიდან მოსდევდაო. მართლაც, მეცამეტე საუკუნეში რომ მონგოლებმა დაამსხვრიეს, პირდაპირ შემუსრეს და გაანადგურეს ქართველების სამაგალითო, ბრწყინვალე კულტურა და ნანგრევებზე ააგეს ველური ბატონობა, იმ დღიდან მოვწყდით ჩვენ განვითარებასაც და თავისუფლებასაც. მონგოლების ბრძანებლობას მოჰყვა თათართა და სპარსთა თარეშობა და ჩვენში დამკვიდრდა სულ სხვანაირი ცხოვრება, დამოკიდებული, სხვისი მოტრფიალე, სხვის პირში შემყურე, არა თავის ადამიანობის და ვინაობის დამცველი, არამედ სხვისი მონა-მსახური, სხვისთვის მოღვაწე და თავდადებული.

ეხლა ქართველებს ძლიერ გვიყვარს სხვისი საქმეების „კეთება“, სხვისი ინტერესების „დაცვა“, სხვისი შელახული პიროვნების „გამოქომაგება“, და ასე არ ვდებთ თავს მას ჟამსა შინა ოსმალოთა და სპარსთა სადიდებლად? ასე თავგანწირულად არ ვემსახურებოდით მონგოლებს შუაგულ აზიაში, ეგვიპტეში და სხვა გარდახვეწილ ქვეყნებში?..

საზიზღარია, შესაზარი, მწარე ასეთი ისტორია, რომელმაც გამოსჭედა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, მოკლებული პატივისცემას, ვინაობის შეგნებას, თავმოყვარეობას. რომელმაც წარმოშვა თანამედროვე ქართველი, დაშორებული კულტურას, თავისუფლებას, ადამიანურ ღირსებას. არა გვაქვს რა გარედ, არა გაგვაჩნია რა შიგნითაც ჩვენს გულსა და სულში. როდესაც ადამიანს შეურაცხყოფენ, დაამცირებენ—ეს გულსაკლავია, მაგრამ როდესაც ადამიანი ადვილად ურიგდება და ითვისებს ყოველგვარს დამცირებას და დაბეჩავებას, თავში ჩაკვრას და ჩაწიხვლას—ეს ყველაფერზე მეტად საძაგელია და შემზარავი. ჩვენ გვიყვარს მაღალის სიტყვებით რახა-რუხი, ხმა მაღლა ყვირილი, მაგრამ სინამდვილეს თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ჩვენი ეროვნულ უფლებათა ფარგალი დღითი დღე მცირდება და პატარავდება: რაც გუშინ იყო, დღეს აღარაა; [illegible] ხვალ აღარ იქნება. შეიძლება დღეს ძლიერადაც გაისმოდეს ჩვენი ხმა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიწროდ შემოიფარგლა ის ადგილი, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და ეს ხალხის ეროვნული შეგნების განვითარების ნაყოფია?

ყველაფერს ვკარგავთ და არაფერს კი არ ვიღებთ. მომავალს შევცქერით და მომავალი კი გარბის ჩვენგან; ვოცნებობთ მზისთვის, რომელიც ლამის სამუდამოდ ჩაესვენოს ჩვენთვის; ან ეგებ უნდა დავეთანხმოთ იმათ, რომლებიც გვეუბნებიან: ეროვნება —ეს დროებითი, წარმავალი ფორმაა ცხოვრებისა და რაც უფრო მალე განთავისუფლდებით მისგან, მით უფრო ჩქარა დავეწაფებით საკაცობრიო ბედნიერებას, მით უფრო მტკიცედ და მაგრად ჩავებმევით საერთაშორისო კავშირში? ეგეც ამაოა და მავნებელი ყოველი წუწუნი და ბარემ რაც მოსასვლელია, მოვიდეს; დავკარგოთ მალე ეროვნული სახე, გადავდგეთ ქართველობიდან და გავიოქვლიფოთ, გავქრეთ სხვა ერში? თუ ეს ასეა, ვსთქვათ გაბედულად, რაღას ვყოყმანობთ, ორჭოფობთ, ვირყევით?

რის მაქნისია ცოცხალი მკვდარი ან მკვდარი ცოცხალი?!.

განა საშინელი უბედურება არაა ერისათვის, ერის არსებობისათვის ტირიფონის ველის ამბავი? მაგრამ ჩვენ ოდნავად არ ჩავფიქრებივართ ამას, ოდნავად არ შეუწუხებია ამას ჩვენი ცხოვრება, ოდნავად არ ამოუძრავებია ჩვენი საზოგადოებრივი აზრი და გრძნობა, ოდნავად არ შეხებია ამას ჩვენი ეროვნული შეგნება!

ჩვენ ერთი მუჭა ერი ვართ, ძლივს გვიკავია ორი გუბერნიის მიწა-წყალი, წყდება ოცდა ორი სოფლის ბედი, ჩვენი სამშობლოს ერთ საუკეთესო მაზრათაგანს ხელიდან უნდა გამოჰგლიჯონ ყველაზე უფრო მდიდარი და ნაყოფიერი ადგილი, მთელი მაზრის გლეხობას უნდა დაეკარგოს მარჩენელი დედამიწა — 15 ათასი დესეტინა, 150 ოთხკუთხი ვერსი სათესი, სათიბი, საძოვარი; ოცდა ორი სოფელი უნდა გატიალდეს, გავერანდეს, ამდენი გლეხობა უნდა აიყაროს, დასტოვოს სახლკარი, მამაპაპათა საფლავი და გარდაიხვეწოს... სად?

ასეთი ამბებია განმზადებული ჩვენთვის და ჩვენ—აქ თითქოს სრულებით არაფერიაო—ლხინსა და ნადიმებს ვმართავთ, ცეკვა-თამაში ვერთობით, მრავალჟამიერს გავიძახით მის მაგიერ, რომ შავით შევიმოსოთ ყველაფერი, მგლოვიარედ დავჩუმდეთ და ერთ ადამიანივით შევერთდეთ განწირული ინტერესების სოფლების დასაცავად!..

დიახ, ტირიფონის ველი ისტორიული სახელია: იგი სიმბოლოა ჩვენი ვინაობის დაცემისა და ღირსების შეუგნებლობისა!.. **სიტყვა**

მცირე განმარტება

„იმერეთს“ ძალიან მოკლე მეხსიერება აქვს, ან, რაც არ გვინდა დავიჯეროთ, განგებ ივიწყებს იმას, რის დავიწყებაც მისთვის სასარგებლოა. ეს გარემოება მაიძულებს მოვახსენო „იმერეთს“, რომ იგი კარგად არ იქცევა, როდესაც ასეთს აზრებს ამახინჯებს. „იმერეთის“ მე-37-ე ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ ერთხელ უკვე ვსწერდით ფედერალისტების „აღმოჩენაზე“, რომლითაც გაამდიდრეს მათ სოციალური მეცნიერება და პოლიტიკა. ამ აღმოჩენას ეხლა რიგ-რიგობით ყოველი ფედერალისტი იმეორებს. **პირველად ნავსი არ. ჯ—შვილმა გასტეხა და სთქვა, ბურჟუაზიას სამშობლო არა აქვსო.** (ხაზი ჩვენია).

ეს მტკიცება ტყუილია, ასეთი ტყუილი, რომელიც „განახლებულ“ „იმერეთს“ დასჩემდა. არსად არ მითქვამს, ბურჟუაზიას სამშობლო არა აქვსო.. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებდი, რომ ქართველი ბურჟუაზიის ეროვნული პოლიტიკა მხოლოდ ზომიერი შეიძლება იყოს და არა რადიკალური, როგორც ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია. ამას გვიმტკიცებს არა მარტო თეორეტიული მოსაზრებანი, არა ისტორია სხვა ეროვნებათა ბურჟუაზიისა, არამედ თვით ჩვენივე ახლად ფეხ-ადგმული ბურჟუაზიის მაგალითი. იგი უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იყოს რადიკალურ-ლიბერალური, მაგრამ რადიკალური ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებში იმ აზრით, როგორც ეს რადიკალიზმი ჩვენ გვესმის და როგორც, უეჭველია, ჩვენ განუმარტებლად, „იმერეთსაც“ უნდა ესმოდეს, იგი არასოდეს არ იქნება. ეს, რა თქმა უნდა, იმას არა ნიშნავს, რომ ქართველ ბურჟუაზიას სამშობლო არა აქვს და ჩვენ ამას არც ვიტყოდით.

ნუ თუ „იმერეთსა“ ჰგონია, რომ სხვის აზრების დამახინჯებითა და ტყუილებით შეიძლება რისიმე დამტკიცება? თუ ამ გზით განაგრძეთ სიარული, შორს ვერ წახვალთ.

არ. ჯ—შვილი.

წერილი დორპატიდან

23 მარტს ადგილობრივ ქართულ სათვისტომოში ჩვენი მცხოვანი მგოსნის ვაჟა-ფშაველას 35 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის გამო გაიმართა რუსულ ენაზე მუსიკალურ-

---

უთვლიდა: „იმერეთს ქარტეხილი უქადის ჩრდილოეთიდან, მაგრამ შეიძლება ასცილდეს მეფე სოლომონის მორჩილების გამოცხადებით. თუ ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდება, მაშინ მზე წინანდელზე უფრო გაბრწყინებს იმერეთის სამეფოზე; მაშინ სოლომონის მეფობა არ აიმღვრევა არც ერთ საათს მის სიცოცხლეში და ქადარით შეიმკობა მისი უვნებელი ტახტი“. თავ. ციციშვილს მართლაც, რომ მორიგებით უნდოდა გაეთავებინა საქმე სოლომონ მეფესთან. ეს მისთვის უფრო სასურველი და საჭირო იყო, რომ იმერეთთან ომი შესაძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო, ციციშვილს კი დიდი დრო არ ჰქონდა, მისთვის რომ ის ერევნისაკენ გასალაშქრებლად ემზადებოდა და უნდოდა შეუპოვარ ერევნის ხანის სიამაყე მოეტეხნა.

როდესაც სოლომონ მეფემ გაიგო, რომ მის სამეფოს საზღვარს რუსის გრენადერის პოლკი მოუახლოვდა ცოტათი თითქოს წინანდელზე უფრო მორბილდა. მან თავ. ციციშვილს თავ. ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გაუგზავნა დიდის ამალით. მეფე ციციშვილს განჯის სახანოს აღებას ულოცავდა და თანაც სურვილს აცხადებდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობისას. მხოლოდ ითხოვდა ლეჩხუმი, რომელიც მან თავ. დადიანს წაართვა სამუდამოდ იმერეთის სამეფოს შეერთებოდა და დარჩენოდა. ციციშვილმა სოლომონს რუსეთთან შეერთების შესახებ უმაღლესად შუამდგომლობა აღუთქვა, ხოლო ლეჩხუმის შესახებ უთვლიდა, არ შემიძლიან ჩამოვართვა სამეგრელოს მთავარს თავ. დადიანს, ვინაიდგან ის უკვე რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებაო. რადგანაც თავ. ქ. წერეთელს და ს. წულუკიძეს ლეჩხუმის დათმობის ნება არა ჰქონდათ მეფისაგან, ამისათვის დრო სთხოვეს ციციშვილს ხელ-ახლავ მეფეს მოლაპარაკებოდნენ. ციციშვილი დასთანხმდა და თორმეტი დღის ვადა მისცა პასუხისათვის. რომ საქმე უფრო დაეჩქარებინა, მათ ქუთაისს გააყოლა გვარდიის პორუჩიკი კამერგერი გრაფი მ. ს. ვორონცოვი.

სოლომონმა გრაფი ვორონცოვი უარით გაისტუმრა რუსეთთან შეერთებაზედაც უარი შეუთვალა და არც შესაერთებელ ხელწერილს მოაწერა ხელი. ამით ციციშვილი დიდი ნაწყენი დარჩა. მან გადასწყვიტა პირდაპირ გალაშქრება იმერეთში.

გალაშქრების წინ თავ. ციციშვილმა იმერეთში დიდძალი ოქრო ვერცხლი გაგზავნა მოწინააღმდეგე პირთა მოსასყიდად. საჩუქრები თავ. გიორგი აბაშიძემ[1]) წაიღო, რომელიც ყველაზე უფრო ცდილობდა იმერეთის რუსეთთან შეერთებას. აბაშიძე ორი თვე ცხენიდან არ ჩამომხტარა და დღე და ღამ გორსა და ქუთაის შუა გზაში იყო გაბმული.

ქრთამი ჯოჯოხეთსო—ნათქვამია. ოქრო ვერცხლმა იმოქმედა. თითქმის ყველა რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგე თავადებმა თანხმობა განაცხადეს რუსეთის მორჩილებაზე და მეფე სოლომონსაც ამას ურჩევდნენ.

მეფე სოლომონმა ციციშვილს შეუთვალა მსურს პირის-პირ გინახულო და მოგელაპარაკოო. ციციშვილი დასთანხმდა და სოლომონის სანახავად სოფელ ვახანში წამოვიდა ერთი როტა ეგერებით. სოფელი ვახანი, ქართლის განაპირა სოფელია და იმერეთს საზღვარზე ძევს.

სოლომონიც თავის მხრით დიდძალი ამალით სოფ. ლეღვანთან დაბინავდა.*)

19 აპრილს, 1804 წელს, დიდ მინდორზე სოფ. საზნაურთან სოლომონ მეფე და თავ. ციციშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და ერთმანეთი ინახულეს, სოლომონმა აქაც სხვა პირობებთან ერთად ლეჩხუმის საკითხი აღძრა და მისი შეერთება ითხოვა.

თავ. ციციშვილს ეს არ მოეწონა და მოლაპარაკება შესწყვიტა. გამოუცხადა იმერეთის მეფეს, რომ გარემოება ნებას არ მაძლევს მოლაპარაკება განვაგრძო, იძულებული ვხდები სხვა დროსა და სხვა ნაირად გინახულო შემდეგში ე. ი. „ხმლით ხელში ბრძოლის ველზეო“. ციციშვილმა მეორე დღესვე გაგზავნა ჯარი იმერეთის ზოგიერთ სოფლებში და მცხოვრებთ ფიცი მიაღებინა. ამ გარემოებამ სოლომონი მეტად დააღონა.

მან ხელ-ახლავ გაუგზავნა თავ. ციციშვილს თავისი კაცები. მეფე თანახმა იყო ეხლა რუსეთთან შესაერთებელ ტრაქტატზე ხელი მოეწერა. მხოლოდ ითხოვდა, რომ ლეჩხუმი დროებით დარჩენილიყო და დადიანისათვის არ დაებრუნებინათ, სანამ ამ საკითხს თვით ხელმწიფე იმპერატორი არ განიხილავდა. ციციშვილი ამაზე დასთანხმდა და აღუთქვა, რომ ყველა მისგან ლეჩხუმში დაპყრობილი ციხე კოშკები მის უფლებაში დარჩებოდა დროებით. ამის შემდეგ, 25 აპრილს 1804 წელს, სოლომონ მეფემ თავისი ამალით დიდის ამბით მიიღო ფიცი და ხელი მოაწერა ტრაქტატს.

მთავარ-მართებელმა ციციშვილმა მიართვა მას წმიდა ალექსანდრეს ნეველის ორდენი ძვირფასი ალმასებით შემკული. ამ დღესვე ციციშვილმა, მეტად გახარებულმა, საჩქაროდ მოახსენა იმპერატორ ალექსანდრე I ეს სასიამოვნო ამბავი.

სხვათა შორის ციციშვილი მოხსენებაში სწერდა: „საქართველოს სამეფო, 1390 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე I-ის დროს გაყოფილი იმერეთის სამეფოდ და სამეგრელოს სამთავროდ, დღეს სრულიად რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ხელ-ახლავ შეაერთა“.

სოლომონ მეფისაგან ხელმოწერილი ტრაქტატი იმპერატორმა ალექსანდრემ დაამტკიცა 4 ივლის 1804 წელს.

უმაღლეს გრამოტაში სხვათა შორის ნათქვამია: „შევიწყნარე რა თქვენი და თქვენ ქვეშევრდომ ხალხის თხოვნა, ჩვენ საბრძანებელ და ჩვენ იმპერიის შემოერთებისა, რის შესახებ თქვენა და იმერეთის წარჩინებულმა თავადებმა კიდევაც მიიღეთ ფიცი ჩვენსა და ჩვენი მემკვიდრეების წინაშე, ყოვლად მოწყალედ ნებასაგყოფთ და გამტკიცებთ თქვენ, საყვარელო ერთგულო ქვეშევრდომო ჩვენო, იმერეთის მეფევ სოლომონ თქვენ ამ ღირსებაში... განდლობთ რა თქვენ განაგოთ იმერეთის ხალხი სიწყნარითა და მართლმსაჯულობით და დავამტკიცე რა თქვენ მიერ თხოვნილი მუხლები დიდებულად ვაცხადებთ და ჩვენი იმპერატორობითი სიტყვით აღვითქვამთ თქვენსა და თქვენს იმერეთის ხალხს, როგორც ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, და ყველა თქვენ შემდეგ მომავალ მემკვიდრეთ დაგიფაროთ თქვენ მტრებისაგან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენა და აგრედვე თქვენი მემკვიდრეებიც თქვენს ერთგულებაში და თქვენი ვალდებულობის სიწორით აღსრულებაში დარჩებით შეურყეველი.“ 1)

ივ. ბესაძე.

---

[1] გიორგი აბაშიძე სიმამრი იყო იმერეთის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის.

*) თუ არა ვსცდები, ეს სოფელი მარელისის სადგურის ახლოს უნდა იყოს. **ავტ.**

1) აქტები ტ. II № 780.

ლიტერატურული საღამო არჩილ ჯორჯაძის სახელობის კულტურული წრის თაოსნობით. საინტერესო საღამოს ბლომად დაესწრო უცხო საზოგადოებაც. პირველად დაწვრილებითი ბიოგრაფია წაიკითხა პოეტმა კიკნა-ფშაველამ. შემდეგ გრძელი, მოხდენილი სიტყვა წარმოსთქვა სტუდ. დიმიტრი გულისაშვილმა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. უკანასკნელის სიტყვას მოჰყვა ქართული სიმღერა—„მრავალ-ჟამიერ". მეორე განყოფილებაში საინტერესო ნომრები შეასრულეს მომღერალმა ქალებმა— პოდრიადჩიკოვისამ და ბრიანცევმა. ტკბილ დუეტს მოჰყვა დეკლამაცია სტუდ. გუდკინისა. მესამე განყოფილებაში შინაარსიანი სიტყვა სთქვა აკაკი პაპავამ.

ყველა ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეთაგანმა მეტად თავისებური შეხედულება გამოსთქვა ვაჟას შემოქმედების შესახებ; მაგრამ ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ თითქმის სავსებით გააცნეს იუბილიარის ცხოვრება და პოეზია უცხო საზოგადოებას, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურაზე. მათი სიტყვის შინაარსის აღნუსხვას არ შევუდგებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ თვითვეულ მათგანს ძალი და ღონე არ დაეზოგა, რომ საკმაო კარგად მომზადებულიყვნენ და უცხო საზოგადოების წინაშე პირნათლად გამოსულიყვნენ...

ხალხი დილის 7 საათამდი არ დაშლილა. საღამოს შემოსავალი 45—50 მანეთამდე დარჩება..

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუცხადებთ ბ. ს. მერკვილაძეს, რომელმაც თავისი ხარჯით უფასოდ გამოგზავნა ვაჟას გადიდებული სურათი, რომელიც იმ ღამეს ეროვნული ფერადებით იყო შემკული. fon.

P. S. ძმებმა ზუბალაშვილებმა, რომელთაც ქართულმა სათვისტომომ საპატიო ბილეთი გაუგზავნა დორპატში ქართულ კონცერტ-ბალზე დასასწრებლად, 100 მანეთი გამოუგზავნეს სათვისტომოს, რის გამო სათვისტომო უღრმეს მადლობას უძღვნის მათ. f.

მუშათა ცხოვრება

პირველი მაისობა უცხოეთში.

პარიზი. პირველმა მაისმა საუცხოვოდ ჩაიარა. წესიერება და მშვიდობიანობა არ დარღვეულა. მთავრობამ ნება დართო წუმწუმისა და თამბაქოს სახელმწიფო ქარხნების მუშებს, რომ ედღესასწაულათ პირველი მაისი, სამუშაო ხელფასის გამოუკლებლად. პარიზის სხვა და სხვა კუთხეებში დიდი მიტინგები გაიმართა. წესიერება არსად დარღვეულა.

ბერნი (შვეიცარია). თუმცა ცუდი დარი იყო, მაგრამ პირველ მაისობამ ბრწყინვალედ ჩაიარა. შვეიცარიაში სულ 110 სამაისო მიტინგი გაიმართა; მიტინგებში მონაწილეობა მიიღო აუარებელმა მოზარდთაობამ გვირგვინებით და ყვავილებისაგან გაკეთებულ ემბლემებით.

ბერლინი. პროლეტარიატმა გადაიხადა პირველი მაისის 25 წლის თავი. უმრავლესობა სამრეწველოთა დახურული იყო. გაფიცული იყო 200,000 კაცი. მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ვენა. დღესასწაულმა მშვიდობიანად ჩაიარა. დემონსტრაციებში 40,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. პოლიცია არ ჩარეულა. 22 ოლქში შესდგა მიტინგები, სადაც დაჰგმეს სამინისტრო და აბსოლიუტიზმი.

რომი. პირველ მაისობას საოცარი წესიერება იყო. დილით ქალაქში გაიარა ვეებერთელა მანიფესტაციამ, გაფიცულნი იყვნენ მუშები ტრამვაისა, მეეტლეები, ქარხნები, სახელოსნოები. ქალაქის მოურავმა მოწაფეები განთავისუფლა სწავლისაგან.

ბელგრადი. სამაისო მანიფესტაციები მოხდა. წესიერება არ დარღვეულა, პოლიცია არ ჩარეულა.

ფინლანდია. ქარხნები არ მუშაობენ. ორ საათზე მაღაზიები და კანტორები დაიხურა. მუშების დემონსტრაციები არ მომხდარა, გენერალ-გუბერნატორმა ზეინმა განკარგულება მოახდინა, პოლიციელებმა არაფრის გულისათვის არ დაუშვან პოლიტიკური დემონსტრაციები. ქალაქს გარედ მაინც შესდგა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რუსის მუშათა კავშირმა.

რუსეთში

ვარშავა. 18 აპრილს (ახალი სტილით 1 მაისს) გაფიცული იყო 15 ათასამდე მუშა. პოლიციელების რაზმები გააძლიერეს. ქალაქის ბაღებში არავის უშვებდნენ. რამდენიმე ადგილას ქალაქში ქარხნებზე წითელი დროშები აჭრიალეს.

რიგა. დილიდანვე მუშები გაიფიცნენ, გაფიცული იყო 50 ათასამდე მუშა. დემონსტრაციის მოხდენა სცადეს.

გომელი. 1 მაისობას რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. ბევრს ქარხანაში მუშაობა არა სწარმოებდა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

22 აპრილი

უცხოეთი.

სტამბოლი. ოფიციალურად. შინაგან საქმეთა მინისტრი თალათ-ბეი 26 აპრილს ბუქარესტში მიდის.

ვაშინგტონი. საერთო აზრით, შუამავლებმა გადასწყვიტეს თავისი მოქმედება მხოლოდ დროშასთან ინციდენტის გათავებით დააბოლოვონ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ლოიდ-ჯორჯის მიერ გამოცხადებული 5.330,000 მანეთი დეფიციტი უფრო მეტია იმის გამო, რომ ადგილობრივ მმართველობებს უნდათ დახმარება აღმოუჩინონ.

გალპარიასი. ცეცხლმა მთელი უბანი დასწვა. 40 კაცი დაიწვა, 100 დაიჭრა.

ვაშინგტონი. სამოსამართლო კომისიამ დაადგინა, წარადგინოს პარლამენტში—რეზოლუციის პროექტი შესახებ იმისა, რომ სასურველია შეიცვალოს ფედერალური კონსტიტუცია და საარჩევნო უფლება მიენიჭოს ქალებს და მაგარი სასმელების გაყიდვა აიკრძალოს შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე.

რუსეთი.

პეტერბურგი. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ნეკრასოვმა, შინგარიოვმა, სტეფანოვმა, დობროვოლსკიმ და მახსიროვმა განუცხადეს რომ ისინი **უარს** ამბობენ საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელთა თანამდებობაზე, სათათბიროში.

— სახელმწიფო საბჭოს პირველი დეპარტამენტის თავმჯდომარემ, სათათბიროს თავმჯდომარეს გაუგზავნა პირველ დეპარტამენტის დადგენილების და მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული ჟურნალის პირი, ჩხეიძის სამართალში მიცემის შესახებ—და აუწყა რომ, ჩხეიძემ, თანახმად სათათბიროს დებულების 22 მუხლისა, ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს განმარტება.

რუსეთი

დეპუტატების შთაბეჭდილება ადგილობრივ ამომრჩევლების განწყობილებისა.

დეპუტატები უკვე შეიკრიბნენ თავრიდის სასახლეში. პროვინციიდან ახლად დაბრუნებული დეპუტატები ერთმანეთს უზიარებენ პროვინციიდან გამოტანილ შთაბეჭდილებას. არამც თუ ოპოზიციის დეპუტატები, არამედ ოქტომბრისტებიც კი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ყველა წრეებში დიდი უკმაყოფილებაა. ყველანი დაბეჯითებით ამბობენ, სანამ მინისტრები საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე პასუხისმგებელნი არ იქნებიან, ცხოვრების საქმეებში რაიმე გაუმჯობესების შეტანა შეუძლებელი ხდება; ყველას რაღაცა შიში იპყრობს, რომ დღე და ღამ ახლოვდება სრული დეზორგანიზაცია სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველს დარგში. ამ დეზორგანიზაციაში მათი აზრით გადამწყვეტი როლი აქვთ ყველა ჯურის პასუხისუგებელ „დიპლომატებს" და „პოლიტიკოსებს".

დეპუტატები აგრეთვე ერთხმად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ჯერჯერობით ეს ოპოზიციური განწყობილება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მდგომარეობაშია, და რაიმე განსაზღვრულ ფორმაში არ ჩამოსხმულა.

ლოთობის წინააღმდეგ.

როგორც კი გავიდა კანონ-პროექტი ლოთობის საწინააღმდეგო ზომებისა, მაშინვე დაიწყო სხვა და სხვა სოფლებში და საზოგადოებებში განაჩენების დადგენა დაიკეტოს სასმელების დუქნებიო. თუ ასე გაგრძელდა რუსეთის ბიუჯეტს 700 მილიონი მანეთი შემოაკლდება, რომელსაც შეადგენს არყის სახაზინო მონოპოლიის შემოსავალი.

ხმები სათათბიროს დათხოვნის შესახებ.

ჩხეიძის საქმემ გამოიწვია ხმები, თითქოს მოსალოდნელი იყოს სათათბიროს დათხოვნა. ამბობენ, ამ საკითხის გამო მინისტრებს შორის თანხმობა არ არისო. უმცირესობა მაკლაკოვის მეთაურობით იმ აზრისაა, რომ ამ ჟამად სათათბიროს დათხოვნა რუსეთის ცხოვრებაში არავითარ სერიოზულ გართულებას არ გამოიწვევსო და მეხუთე სათათბირო მეოთხეზე მემარცხენე არ იქნება, არამედ გაცილებით მემარჯვენე.

მინისტრთა უმრავლესობა გორემიკინის მეთაურობით, ვითომც ფიქრობს, რომ ამ ჟამად სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა საჭირო არ არის და პოლიტიკურად მას არაფერი იწვევსო.

უმრავლესობის აზრით სათათბიროს დათხოვნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ბიუჯეტი უარყოფილი იქნება, ან სათათბირო უარს იტყვის ჩხეიძის გამორიცხვაზე.

ყველა ეს ხმა გასაოცრად შეუფარდდა საკითხს სათათბიროს ფრაქციის ტაქტიკის შესახებ ბიუჯეტის კამათის დროს. სწორედ ეხლა ოპოზიციის ლიდერებმა დაიწყეს მოლაპარაკება ერობის მოღვაწე ოქტომბრისტების ლიდერებთან საერთო ნაბიჯების შესახებ.

ოქტომბრისტებმა როძიანკოსთან თათბირის შემდეგ თუმცა გამოსთქვეს აზრი, რომ ახალი „კურსის", უკანასკნელი ნაბიჯების წინააღმდეგ პროტესტი საჭიროა, მიუხედავად ამისა შეუძლებელად სთვლიან ხარჯთ-აღრიცხვის უარყოფას სავსებით. ოქტომბრისტების ფრაქციის ხელმძღვანელმა გადაჭრით განაცხადა, მხოლოდ სამხედრო კრედიტები, რომელნიც საჭიროა სახელმწიფოს დაცვისათვის, არ იქნება შეცვლილი და განსაზღვრულიო.

ამაზედ შესწყდა ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება.

მემარცხენე ოქტომბრისტები შეშფოთებულნი არ არიან ხმებით სათათბიროს დათხოვნის შესახებ, ისე როგორც ოპოზიციაც.

უცხოეთი

მილიარდერის როკფელერის სამფლობელოში სისხლის ღვრა.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები.

დეპეშებმა მოკლედ გვაცნობეს, რომ კოლორადოს შტატში მილიარდერის როკფელერის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოხდა ნამდვილი ბრძოლა გაფიცულებსა და შტატების მილიციის შორის. ორივე მხრით ისროდნენ ტყვის მფრქვეველებს და თოფებს.

მაღაროების მუშები ცოლშვილით სანგრებში თოფებს სტენიდნენ და მამაკაცებს ეხმარებოდნენ ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხრეთის მაღაროებში მუშებსა და ჯარისკაცებს შორის ორის დღით ზავი ჩამოვარდა. ჩრდილო მაღაროებში კი ბრძოლა გრძელდება. არტილერიამ სახლები და მაღაროების ნაწილი დაანგრია. ზოგიერთი მაღაროს და გარშემო მდებარე სოფლებს ცეცხლი უკიდია.

პრეზიდენტმა ვილსონმა როკფელერს მიმართა, რომელსაც ქრისტიანულ გრძნობებზე უყვარს ლაპარაკი, და კაცთმოყვარეობის სახელით ურჩევდა ელტა შეეწყვიტა. როკფელერმა უარით უპასუხა, მაღაროებს ჩემი შვილი განაგებსო.

ვილსონმა ძალაუნებურად ფედერატიული რაზმები გაგზავნა, რადგან ფორმალური უფლება როკფელერის მხარესაა.

ამ ისტორიამ მერიკის საზოგადოებრივი აზრი ისევე აღელვა, როგორც მექსიკის ომმა.

—

დენვერიდან ვაშინგტონში აცნობებს, გუშინდელ ბრძოლის დროს მუშებს და პოლიციელების შორის მოკლულია 15 კაცი და დაჭრილი 150. გარდა ამისა ცეცხლმა 7 კაცი იმსხვერპლა.

მუშები კმაყოფილნი არიან ფედერაციის რაზმის მისვლით, რადგან იციან, რომ მილიცია ერთგულია როკფელერის ინტერესებისა. მიუხედავად ამისა კოლორადოს შტატის უფროსი გენერალი ბეზი და აფიცრები ამჯობინებენ უფრო სამსახურიდან გადადგომას, ვიდრე გაფიცულთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ნიუ-იორკი. მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მოხდა შენობის წინ, სადაც როკფელერის ნავთის ტრესტის გამგეობა იმყოფება. ხალხს უნდოდა შენობაში შესვლა და ფანჯრები ჩალეწა. პოლიციელებმა ისინი დიდის წვალებით გაჰფანტეს.

ვილსონის შუამავლობა.

პრეზიდენტმა ვილსონმა საჩქაროდ მიიხმო მუშათა ორი უმთავრესი კავშირის წარმომადგენელი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ თათბირში როკფელერის თანადასწრებით. თავმჯდომარედ შრომის მინისტრი ვილსონი იქნება.

თეატრი და ხელოვნება

სოსო რომანიშვილის 10 წლის იუბილე.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში სამშაბათს 22 აპრილს ტფილისის სახალხო სახლთან არსებულ ქართულმა დრამატიულმა სექციამ სოსო რომანიშვილის ათი წლის სახალხო სცენაზედ მოღვაწეობის აღსანიშნავად სადღესასწაულო წარმოდგენა გამართა.

საღამო სამ განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში წარმოადგინეს „ხელოსანი კრემონიდგან", კომ. 1 მოქ. კოპპესი, თარგ. რომანიშვილისა. იუბილიარმა ბუნებისაგან დაჩაგრული ხელოსნის როლი მშვენივრად შეასრულა. მაყურებელ საზოგადოებას ნათლად დაანახვა მახინჯ ხელოსნის დიდსულოვნება, რომელიც თავის სიყვარულს და იდეალს სატრფოს ბედნიერ ცხოვრებასა სწირავს.

მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს რაშიშვილის პიესის „შეშლილებისა"-ს მეორე მოქმედება.

მეორე განყოფილების შემდეგ ახდილ ფარდის წინ იუბილიარს მიულოცეს: 1) ტფილისის სახალხო სახლთან არსებულ დრამატიული საზოგადოების გამგეობამ; 2) სახალხო სახლის ქართველმა სცენის მოყვარეებმა; 3) ავლაბრის თეატრის სცენის მოყვარეების დელეგაციამ; 4) ნაძალადევის აუდიტორიის სცენის მოყვარეების დელეგაციამ; 5) სოფელ კავთისხევის სცენის მოყვარეების დელეგაციამ; 6) სოფელ ახალქალაქის სცენის დელეგატმა და სხვა კერძო პირებმა. შემდეგ წაკითხულ იყო მილოცვის დეპეშები. დასასრულ სახალხო სახლის ქართულ დრამატიულ საზოგადოების რეჟისორმა უსურვა იუბილიარს სამუდამოდ შერჩენოდა სახალხო სცენის მუშაობის უნარი.

ბოლოს წარმოადგინეს „სიმართლე" შარჟი 1 მოქ. ლიბერმანისა, თარგმანი ქორელისა. სერგეის (რომანიშვილი), სიმართლის მქადაგებელს, რომელსაც ჰსურს სიმართლე ცხოვრებაში გაატაროს, თავის ენატანიაობით ბიძის ოჯახს აურდაურევს და ბოლოს, სიმართლის მქადაგებელს, ბიძის სახლიდან ცემატყეპით გააძევებენ.

ყველა წარმოდგენებში იუბილიარმა კიდევ ნათლად დაანახვა მაყურებელ საზოგადოებას თავის ნიჭი და უნარი სხვადასხვა გვარის როლების შესრულებისა. როგორც მილოცვის დროს ისე ანტრაქტებზედ იუბილიარმა აუარებელი საჩუქრები მიიღო.

წარმოდგენას, მიუხედავად გადიდებულ ფასებისა, მრავალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენის შემდეგ დამსწრე საზოგადოება ძალიან ნასიამოვნებელი დაიშალა. ინი.

ყულისკარი (სამეგრელო). კვირას, 13 აპრილს სოფ. ყულისკარში (ზუგდ. მაზრა) ქართული სცენის მოყვარე ახალგაზრდების მიერ ბ. სილოვან ანთელავას მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს ოთხ მოქმედებიანი პიესა გულისაშვილისა „ცხოვრება ბრძოლაა" და ორ მოქმედებიანი—ცნობილიძისა „მოტყუებულნი".

წარმოდგენას ხალხი საშუალოდ დაესწრო. მოქმედნი პირნი: სილოვანი, კოლია და სევერიანი ანთელავებმა, გაბრიელ ბულიამ, იასონი ლაგვილავამ, მიხა სართანიამ, თომა და ანდრია შენგელაიებმა და ქ-ბნთ ლიდია, ტატი, ფოტი და ანტიოფი ანთელავას ასულთ, პირობების შედარებით, თავიანთი როლი მშვენივრად შეასრულეს. წარმოდგენამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა და საკმარისი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. მადლობის ღირსია ბ. სილოვანი ანთელავა, რომელიც სათავეში უდგას წარმოდგენების და სამკითხველოს დაარსების საქმეს აღნიშნულ სოფელში. ვუსურვებ მათ გამარჯვებას, სამეგრელოს ინტელიგენციას ვუსურვებთ მათ მიბაძვას და მიყრუებული სოფლებში ამისთანა წარმოდგენების მართვას, რათა შეაჩვიონ ხალხი თეატრს.

ბაგრატ რაფავა.

ჩაუბარებელი დეპეშები

მოსკოვიდან—უშიტაშვილს, ქუთაისიდან—ერისთავს, მოსკოვიდან—სულიაშვილს.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

4711
პოხიერი პუდრი
კანს ხავერდივით ჰარბილებს და ახალგაზდობის ელფერს აძლევს.
ფერ. მიულჰენსისა პარფიუმერ. კელნი რ. განყოფ. – რიგაში.
კოლოფი 30 კაპ.
იყიდება ყველგან.
Мєтцль. 547928. 1021

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. ნაშუადღ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; საფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. დილ.

ბათუმისაკენ: ნარევ. № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 18 წ. საღ.; საფ. № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

ბორჯომისაკენ: სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 22 წ. დღით.

მცხეთისაკენ: საგარეუბ. № 61,—8 ს. 13 წ. დილ.; საგარეუბ. № 63,—1 ს. 40 წ. დღის.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. დღის.; სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდან: ნარევი № 21,—1 ს. 19 წ. შუადღ.; სამგზავ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 7,— 1 ს.42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; საფ. № 3,—9 ს. დილ.

ბორჯომიდან: სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25 დილ.

მცხეთიდან: საგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საგ. № 63,—8 ს. 48 წ. საღ.

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ"-ი,
უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვნილი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 210

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. ფორმინ-ოსიპოვიჩი ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში ქნ. ლ. ქალანთაროვა (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 ი. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 გ. ა. მირაჭოვი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, გლინსკის ქუჩა 58 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე,
გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბეჟანოვი: 1—2 ს. [illegible] შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბიბანასოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-[illegible] 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

ქ. გორში
საჭიროა
ბავშვებთა გამართობლად რუსის ქალი 13—15 წლისა. პირობების გაგება შეიძლება გორში მიხაილოვის ქ. თ. გოგიბედაშვილთან. 1175

ბუღალტერი გამოცდილი, რადგან სამსახურობით თავისუფალია,
კისრულობს ყოველ-გვარ სავაჭრო
ანგარიშების გაკეთებას,
ადგენს წლიურ ანგარიშებს, ბალანსებს, შეიძლება ახალი დავთრების მოწყობა. მსურველთათვის ქართულადაც.
მისამართი წერილობით: „სახალხო გაზეთი", მ. ო. 1174

სორაპანის გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად თხზულებანი
გი-დე მოპასანისა
ტომი 1, ფასი 1 მანეთი.
სრული სამზარეულო
შედგენილი ქნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 მ.
მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.
მისამართი: Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. 1161

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგრელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იგივე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩ. ტელეფონი № 14—42.